# ხელშეკრულება №210
## (გამარტივებული შესყიდვა)

ქ.ამბროლაური | 09 ოქტომბერი 2015 წ

*შესყიდვა ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-$10^{1}$ მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად*

ერთის მხრივ თვითმმართველი ერთეული ამბროლაურის მუნიციპალიტეტი (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის მალხაზ ლომთაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ჯეო პარკი" (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის ნიკოლოზ ალიბეგაშვილის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის სახსრებით, სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად ფიტნესის ტრენაჟორების (37440000) შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია ქუჩის ტრენაჟორები (10 ცალი) - ერთი კომპლექტი – ერთეულის ფასი 9500 ლარი.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრება 9500 (ცხრაათას ხუთასი) ლარით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა დგება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4.2 მიწოდების ადგილია ქ. თბილისი

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

6. ანგარიშსწორება მხარეებს შორის

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან შვიდი საბანკო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება- მოვალეობები

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- მოთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით მის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- აუნაზღაუროს შემსრულებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

- მოითხოვოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

–დროულად მიაწოდოს საქონელი შემსყიდველს, გამართულ მდგომარეობაში.

8. გარანტია

8.1. მიწოდებული საქონლის სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა განისაზღვრება 1 (ერთი) წლით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა, გარდა იმ შემთხვევებისა როცა ხარვეზები მიღებულია მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების არასწორი ექსპლუატაციისა და მექანიკურად მიყენებული დაზიანების გამო.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2 მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.15% ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

## 10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების პირობების მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული პირობების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან
10.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

11.1. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა მოხდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ცაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

## 13. დავების გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მიმდინარეობის შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

## 14. დასკვნითი დებულებები

14.1. ხელშეკრულებების პირობების ნებისმიერი ცვლილება შეიძლება მოხდეს მხარეების ურთიერთშეთანხმებით, წერილობითი ფორმით - ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
14.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად, რომლთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.

## 15. რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ქ. ამბროლაური თამარ მეფის ქ #1
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ TRESGE22
ა/აGE24NB0330100200165022
ს.კ# 222937464

მალხაზ ლომთაძე

მიმწოდებელი:
შპს „ჯეო პარკი"
ქ. თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, V მ/რ კორპ.1 ბინა 22
სს თიბისი ბანკი
კოდი #TBCBGE22
ა/ა # GE95TB1893836020100010
ს/კ #205261429

ნიკოლოზ ალიბეგაშვილი